

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება №164
(ოქმი №147)

თბილისი

2010 წლის 18 იანვარი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში დამატების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად:

დაკმაყოფილდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის წარდგინება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში დამატების შეტანის შესახებ და სამეურვეო საბჭოს 2008 წლის 28 ივლისის №108 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი დამატებები:

1. მე-3 მუხლის (მაუწყებლის სტრუქტურა) 3.1. პუნქტს დაემატოს მონიტორინგის სამსახური და აუდიტის სამსახური.
2. მე-3 მუხლს (მაუწყებლის სტრუქტურა) დაემატოს 3.7. პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3.7. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან გენერალურ დირექტორისა და კურატორი მოადგილის წინაშე. მონიტორინგისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსები ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს წინაშე.“

3. მე-5 მუხლის (გენერალური დირექტორი) 5.3.6. ქვეპუნქტს დაემატოს მეორე და მესამე წინადადებები: მონიტორინგისა და აუდიტის სამსახურის უფროსებს გენერალური დირექტორი ნიშნავს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ლევან გახელაძე




სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

დავით აფრასიძე

გიგა ნასარიძე



დავით კანდელაკი



ნოდარ სარჯველაძე

ზურაბ დავითაშვილი



ემზარ გოგუაძე



ოთარ კობერიძე



ავთანდილ ანთიძე



ბაკურ სულაკაური




ნინო დანელია

ნ. დანელია

მამუკა ფაჩუაშვილი



ლია ჩახუნაშვილი



შორენა შავერდაშვილი

